ქ. თბილისი 501 28 ნოემბერი 2011 წელი

ხელშეკრულება # SG 28.11.2011/1

__სსიპ სოფელ გრემისხევის სკოლა_____ წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ქეთინო ხევსურიშვილი_____ სახით შემდგომში წოდებული ,,დამკვეთად" და შპს ორიენტ ლოჯიკი მისი კომერციული დირექტორი ალან სანაკოევის სახით შემდგომში წოდებული „შემსრულებლად" ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და ხელშეკრულებას ვაფორმებთ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მოახდინოს დამკვეთის მიერ განსაზღვრული და სპეციფიკაციაში (დანართი #1) ასახული მოცულობის მიხედვით დამკვეთის კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფა.

1.2 პუნქტ 1.1 - ში მითითებული მიზნების მიღწევაში მხარეთა მონაწილეობის ფორმები:

1.2.1 შემსრულებელი უზრუნველყოფს:

- საქონლის მიწოდებას
- საგარანტიო მომსახურებას

1.2.2 დამკვეთი უზრუნველყოფს:

- წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლისშეძენას და მათ შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების გაღებას.

1.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერის დღიდან.

2. საქონლის მიწოდების პირობები

2.1 საქონელი სპეციფიკაციის მიხედვით (დანართი #1) დამკვეთს მიეწოდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტში აღნიშნული ვალდებულების შესრულების დღიდან 5(ხუთი)სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2 მოწოდებული საქონლის ტექნიკურ მიწოდებას უზრუნველყოფს უშუალოდ შემსრულებელი მწარმოებლის პოლიტიკის შესაბამისად.

3. ფინანსები და ხარჯთაღრიცხვა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფასი არის მოსაწოდებელი საქონლის ღირებულება, რაც შეადგენს 760.00 (შვიდას სამოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2 დამკვეთი გადაურიცხავს შემსრულებელს შემსრულებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე 760.00 (შვიდას სამოცი) ლარს ავანსის სახით ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი უხდის დამკვეთს პირგასამტეხლოს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.07% -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში დამკვეთი უხდის შემსრულებელს პირგასამტეხლოს ჩასარიცხი თანხის 0.07 %- ის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ სამუშაო დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან.

4.3 თუ რომელიმე მხარემ დაარღვია საქონლის მოწოდების ან ანგარიშსწორების ვადები და დააგვიანა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება 60 (სამოცი) დღეზე მეტად ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად. ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, თუკი დამკვეთის მიერ მიღებული საქონლისღირებულება აღემატება ამ ხელშეკრულებით უკვე გადახდილ თანხას დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს დამკვეთის მიერ მიღებული საქონლის სახელშეკრულებო ღირებულებასა და გადახდილი თანხას შორის სხვაობა ხელშეკრულების გაუქმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში; თუ დამკვეთის მიერ მიღებული საქონლის ღირებულება ნაკლებია ამ ხელშეკრულებით უკვე მიღებულ თანხაზე შემსრულებელი ვალდებულია დაუბრუნოს დამკვეთს დამკვეთის მიერ მიღებული საქონლის სახელშეკრულებო ღირებულებისა და გადახდილი თანხის შორის სხვაობა ხელშეკრულების გაუქმებიდან 7(შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. ხოლო ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარე ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის მომენტიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის მანძილზე გადაუხადოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული(პუნქტი 4.1; პუნქტი 4.2) პირგასამტეხლო.

4.4 პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება წარმოიშობა თუკი არსებობს დაზარალებული მხარის მიერ ხელშეკრულების დამრღვევი მხარისადმი წერილობითი მოთხოვნა წინამდებარე ხელშეკრულების 4.1, 4.2 ქვეპუნქტებში მითითებული ვალდებულების შესრულების თაობაზე.

5. საგარანტიო პირობები

5.1 ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელზე ვრცელდება მწამოებლის სტანდარტული გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება საქონლის გადაცემის მომენტიდან.

5.2 გარანტიის მოქმედების პერიოდში დანართ #1-ში მითითებული პროდუქტების გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში "დამკვეთი" წერილობითი ფორმით (მ.შ ელექტრონული ფორმით) აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ "შემსრულებელს". წერილის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისსა "შემსრულებელი ახდენს რეაგირებას." მომსახურების საგნის სერვისულ ცენტრში მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში "შემსრულებელი" ადგენს დეფექტურ აქტს, რომელიც შეიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. მომსახურება განხორციელდება საშუალოდ 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში, თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები "შემსრულებელს" აქვს ადგილზე (საწყობში). წინააღმდეგ შემთხვევაში 40 (ორმოცი) დღის ვადაში.

6. ფორს - მაჟორი

6.1 არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მიღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო თუ ეს იყო განპირობებული ისეთი გარემოებების გამო, როგორიც არის ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები, აგრეთვე ომი, კანონმდებლობის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ან ისეთი პირობები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს . თუ რომელიმე გარემოება უშუალოდ იმოქმედებს ხელშეკრულების შესრულების ვადაზე, ეს ვადა უნდა იყოს გაგრძელებული გადაულახავი ძალის გარემოების მოქმედების დროის მიხედვით.

6.2 მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა მიღებული ვალდებულებების შესრულება ამა თუ იმ გარემოების გამო ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს ამ გარემოების დაწყების, სავარაუდო ხანგრძლივობის და დამთავრების დრო არაუგვიანეს ათი დღისა ამ გარემოებების დაწყებისა და დამთავრების შემდეგ. ამ გარემოებების შესახებ შეუტყობინებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკარგებათ უფლება მათზე მითითებისა ხელშეკრულებაში აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

6.3 თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, როგორც გადაულახავი ძალის გარემოების შედეგი, გრძელდება ერთ თვეზე მეტი მხარეებს აქვთ ხელშეკრულების ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტის უფლება. ამ შემთხვევაში მხარე რომელიც წყვეტს ხელშეკრულებას ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაწეული ხარჯები.

6.4 მხარე, რომლისთვისაც დადგა ფორსმაჟორული გარემოება ვალდებულია ოფიციალურად წარმოადგინოს დასტური აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოდან.

7. კონფიდენციალურობა

7.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ფასეულობას, მიუხედავად იმისა წერილობითი ფორმის იქნება ეს თუ ზეპირი ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად და არ დაუშვებენ მესამე პირებზე მათ გადაცემას/გაცნობას.

7.2 ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით ვიდრე მხარეები არ შეთანხმდებიან მათ გაუქმებაზე/შეწყვეტაზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელისმოწერის დღიდან და მოქმდებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

9.2 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე უხეშად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს

შეწყვიტოს ხელშეკრულება მხარისადმი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით; ასეთი გარემოების დადგომისას ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ბრალეული მხარისადმი წერილობითი შეტყობინების გადაცემის მომენტიდან ათი კალენდარული დღის შემდეგ.

9.3 დამკვეთს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, შემსრულებლისათვის ვალდებულებების წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონლი ან მისი ნაწილი.

ბ) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.4 შემსრულებელს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება დამკვეთისადმი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ:

ა) თუ დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსრულებლის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ანგარიშსწორება.

ბ) თუ დამკვეთს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულების შესრულება.

9.3 ხელშეკრულების რომელიმე მხარის ბრალეულობით შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი ახდენს შემსრულებელთან ანგარიშსწორებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, იმ ზიანის გამოკლებით რაც მიადგა დაზარალებულ მხარეს ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარის მოქმედებით.

10. დავათა გადაწყვეტა

10.1 მხარეები იღებენ ყველა ზომას რათა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი ყველა უთანხმოება გადაწყდეს მოლაპარაკებ(ებ)ის გზით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი უთანხმოების მოლაპარაკე(ებ)ის საფუძველზე გადაუწყვეტლობის შემთხვევაში მხარეებს აქვთ უფლება მიმართონ საქართველოს სასამართლოს და იმოქმედონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3 დავის არსებობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. მხარეები ვალდებულნი არიან გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდა სადავო საკითხისა.

11. დასკვნითი დებულებანი

11.1 ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლიდანაც ერთი ინახება დამკვეთთან, ხოლო მეორე შემსრულებელთან.

12. მხარეთა რეკვიზიტები

12.1 **დამკვეთი:** __სსიპ სოფელ გრემისხევის სკოლა_____; საიდენტიფიფიკაციო კოდი: ___229322382_____; იურიდიული მისამართი:, დუშეთის რაიონში ,სოფელი გრემისხევი_____; ტელ: _____;

12.2 შემსრულებელი: შპს ორიენტ ლოჯიკი; საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054; იურიდიული მისამართი: აღმაშენებლის გამზ. 91ა, 0102 თბილისი საქართველო; ფიზიკური მისამართი: ბელიაშვილის ქ. 8, 0159 თბილისი საქართველო; ტელეფონი: +995 (32) 254 18 18; ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი MIBGGE22; ა/ა: GE67PC0243600100009528

სსიპ სოფელ გრემისხევის სკოლა__სკოლა

_____

დირექტორი

ქეთინო ხევსურიშვილი

შპს ორიენტ ლოჯიკი
კომერციული დირექტორი

ალან სანაკოევი

ხელშეკრულება # SG 28.11.2011/1

დანართი #1

N	პროდუქტი/სერვისი	აღწერა	ერთეულის ფასი ლარში	რ-ობა	მთლიანი ფასი ლარში
1	LH129EA	Intel G630 2,7 / 2Gb / 500Gb 7200rpm/ DVD+/-RW / Free DOS : Memory: DDR3-1333 (Expandable to 8Gb) 2 DIMM slots, : Audio: Realtek ALC656 High Definition audio codec 3D audio compliant and HD Audio compatible : Video: ntegrated Intel HD Graphics : Lan: Integrated Realtek RT8171E Gigabit Ethernet : Free Slots: 1*mini PCI, 1*PCI-Ex16, 3*PCI Ex1 : Ports: Rear: 4*USB 2.0, 1*RJ45, 1*VGA, audio in/out, microphone in, SPDIF out , DVI-D; Front: 2*USB 2.0, audio in/out : Drive bays: Internal 1*3,5"; External 1*5,25" : Chassis type: microtower, : USB Keyboard, USB 2-Button Optical Scroll Mouse : One-year warranty :	760,00	1	760,00

ჯამი დღგ-ს ჩათვლით: 760.00 (შვიდას სამოცი) ლარი

სსიპ სოფელ გრემისხევის სკოლა__ სკოლა

_____

დირექტორი

ქეთინო ხევსურიშვილი

შპს ორიენტ ლოჯიკი

კომერციული დირექტორი

_____

ალან სანაკოევი